


თავისუფლება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლელო ორგანო კომიტეტისა და სპორტის ფიზკულტურისა და სპორტის ორგანო
Organ Komiteta po Fizicheskoj kul'ture i sportu pri Sovete Ministrov Gruzinskoj SSR i Gruzinskoj Respublikanskogo sojeta profsojuzov

№ 68 (1288) კვირა, 8 ივნისი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 80 კაპ.



6 ივნისს თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები. ესაა ბერლინის „დინამო“, რომელიც თავისი ქვეყნის პირველობაზე მონაწილეობას აღვსავსებს „ა“ კლასში. აღსანიშნავია, რომ ამ ახალგაზრდულმა გუნდმა ბოლო ხანებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც თავის ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. კერძოდ, ბერლინელებმა ამას წინათ შესამჩნევად აღიკვეს „დინამოს“ გუნდების საერთაშორისო ტურნირში. 4 ივნისს ბერლინის „დინამო“ მოსკოვში შეხვდა თავის ადგილობრივ თანაკლუბელებს. პირველი ტაიმი დამთავრდა მასპინძელთა უპირატესობით — 2:1. თამაშის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატრი დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:2. დღეს ბერლინის „დინამო“ თბილისში შეხვდება ადგილობრივ „დინამოს“ ოსტატებს.



ეს თახი უფრო რიგებს სახელს ატარებს. იგი დაწესებულია ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებული გუნდისათვის. ფეხბურთში მსოფლიოს პირველობის გარშემო დაწერილებით ცნობები იხ. მე-3 გვ.

ეს საკითხი მომხიფლდა

...თქვენ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაურობა ხართ. რას არ მოგატარებთ მრავალფეროვანი ექსპონატები... მათი ერთი მეტყველებს საქართველოს უძველესი სპორტული კულტურა, წარმატებული ეგვიპტური ხალხური თამაშობანი, რომელთაც ძველი საუკუნეების სურნელება ასდით; ისინი ერთნაირი გატაცებით მოგვითხრობენ როგორც ისტორიულ ამბებზე, ასევე თანამედროვე საქართველოს მდიდარი სპორტული ცხოვრების შესახებ, მზაურ საბჭოთა რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის მძლავრი აღმავლობის, ბრწყინვალე სპორტული წარმატებების შესახებ.

დამხლოდ ფანტაზიის ნაყოფია და საქართველოში ფიზკულტურის მუშაურობის შექმნის ენთუზიასტთა მრავალი წლის ოცნების ნაყოფი. მაგრამ, რა მდიდარ პერსპექტივებს, მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს გვპირდება ამ ოცნების ხორცშესხმა! დავიწყოთ იქიდან, რომ მოსკოვში უკვე არსებობს ასეთი მუშაურობა და მას ღირსეული წვლილი შეაქვს სპორტის პროპაგანდასა და მისი ისტორიის კვლევის საქმეში. საქართველოში მის სხვადასხვა კუთხეში საზოგადოებრივ დაწესებულებებში თუ კერძო პირებში, დიდძალი მასალა და ექსპონატა მომოდინებულია, რომლებიც სამამულო სპორტის შესახებ ძვირფას ცნობებსა და ფაქტებს შეიცავს. რედაქციის თითქმის ყოველდღიურად შემოდის ცნობები ასეთ ექსპონატთა არსებობის შესახებ, აი, მაგალითად, ამას წინათ ცნობილი ვადა რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისში არსებული ფეხბურთელთა გუნდის — „კომეტას“ მოთამაშეს გ. სესიაშვილს შემონახული აქვს ეტეონი — „თბილისში პირველი ფეხბურთის მატჩის მონაწილე“. იგი წარმოსახავს აღნიშნულ წელს თბილისის გუნდებს — „კომეტას“ და „სოკოლს“ შორის გამართულ პირველ ოფიციალურ მატჩს.

სპორტის დამსახურებულ ოსტატთან — გ. ჩიკაიძესთან ინახება რამდენიმე ფოტო, რომლებიც თბილისში ფეხბურთის დამკვიდრების პირველ ნაბიჯებს ასახავენ. ცნობილია აგრეთვე, რომ არსებობს გამოჩენილ ქართველ სპორტსმენთა ა. ჯაფარიძის, გ. ნიკოლაძის, გ. ეგნატაშვილის, გ. ჩიკაიძისა და სხვათა მდიდარი პირადი არქივები, რომლებიც ბევრ საინტერესოს პირებიდან დამთვალე რეპრეზენტებსა და მკვლევარებს. ბოლო საქართველოს სპორტული კოლექტივების, გუნდებისა და ცნობილ სპორტსმენთა — ბ. პაიჭაძის, ნ. დუმბაძის, ო. ქორჭიას, ნ. ჯორჯიკაძის, დ. ციმაკურიძის, გ. კარტოვიას, ვ. ბალავაძისა და სხვათა მიერ საერთაშორისო და საქართველო სარბიულზე მოპოვებული „ნადავლები“ — თახები, მედლები, სხვაგვარი და სხვა ნივთები, რომლებიც ჩვენი სპორტის ბრწყინვალე, დიდი მასშტაბის გამარჯვებებზე მოუთხოვრებენ დაინტერესებულ პირებს? ყველაფერი ეს ხომ, დროთა მსვლელობაში, ძვირფასი სპორტულ-ისტორიული იშვიათობები, ღირსშესანიშნავიანია გახდეს.

ნახალა მოურის თავს ერთ დღილას, თუ როდენ დიდად შეუწუბს იგი ხელს სპორტულ-კლევითი მუშაობის ნაყოფიერად გაშლას, რა უცნობ, წარმატებულ სტრატეგიებს გააღმოს დაინტერესებულ პირთა და დიდად დამთვალე რეპრეზენტთა წინაშე სამამულო სპორტის ისტორიიდან. ეს საკითხი დიდი ხანია მომხიფლდა მისი გახსნა დღის წესრიგშიც დადგა... მისი განხორციელება კი, სხვა დაწესებულებებთან ერთად, განსაკუთრებით ფიზკულტურის სამეცნიერო-კლევითი ინსტიტუტის სათანადო ყურადღებასა და ინტენსიურ მუშაობას უცდის. დროა პრაქტიკულად მოვიკიდოთ ხელი ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, პატრიოტული საქმის გადაწყვეტას.

გ. გურგენიძე — ჩიკაიძე

როცა ჩემპიონატის დასკვნით ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრებისას შიშოვა ლომიასა და იზვოზიკოვთან პარტიები ყვირით დამთავრა ცხადი ვახდა, რომ გურგენიძის დაწვევის მონაწილე აღარავის დარჩა. ამიტომ ბუნებრივად გურგენიძე, რომელიც უკვე გაემგზავრა ბულგარეთში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, გამოცხადდა საქართველოს ჩემპიონად. აღსანიშნავია, რომ ნიჭიერმა ოსტატმა ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა. მან მოიგო 11 პარტია და 6 ყვირით დაამთავრა.

9 ქულა, მ. დემურია (ზუგდიდი), გ. გამრეკელი, გ. კალატოშვილი, ა. იზვოზიკოვი — 8 ქულა თვითიველს, თ. ბელთაძე (დუშეთის რაიონი) — 7,5 ქულა, ა. რაზვოვი (ქუთაისი) — 7 ქულა, თ. გიორგაძე — 6,5 ქულა, ი. ლოლუა (ფოთი) — 5 ქულა, ა. გავუა (ქუთაისი) და პ. მორჩილაძე (ხულოს რაიონი) — 3,5 ქულა თვითიველს.

დღეს სოფიაში გაიხსნება ახალგაზრდა ოსტატთა საერთაშორისო საქადარყო ტურნირი.

ტურნირის მონაწილეთა შორის ექვსი სტუმარია. ესენი არიან: საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი საქართველოს ჩემპიონი, ოსტატ გურგენიძე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ჩემპიონი გოლცი, მზარდი იტოვსლაველი ოსტატი ბოგდანოვიჩი, უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი სილადი, პოლონელი ოსტატი ბრზოშკა და რუმინელი რადოვიჩი. ბულგარეთიდან ტურნირში მონაწილეობს ექვსი ოსტატი: პადევსკი — ბულგარეთის არაერთგზის ჩემპიონი და ალიოხინის სსოვის 1956 წლის საერთაშორისო ტურ-

მშვიდობა გაიმარჯვებს

ივლისში სტოკოლმში შეიკრიბებიან სხვადასხვა ეროვნების, ფერის, შეხედულებისა და პოლიტიკური რწმენის ადამიანები, რათა მონაწილეობა მიიღონ განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესში, რომელიც 16-დან 22 ივლისამდე გასტანს. ამ დიდი მნიშვნელობის ღონისძიებისათვის გაცხველებით ემზადებიან მსოფლიოს ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილებით ეწყობა კონგრესისადმი მიძღვნილი მშვიდობის კვირეული.


სტოკოლმის კონგრესს დიდი ინტერესით მოელოან ჩვენი სამშობლოს ადამიანები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ და არიან მტკიცე მშვიდობის დამცველთა პირველ რიგებში. სოციალისტური ქვეყნის მილიონობით მშრომელი მონაწილეობდა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამართულ „მშვიდობის კვირეულში“. რომელიც მიმდინარეობდა 1-დან 8 ივნისამდე. „მშვიდობის კვირეულის“ მოწყობა-ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები — არტკავშირები, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირი, მწერალთა, არქიტექტორთა, უცხოელისათა კავშირები, პოლიტკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, საბჭოთა ქალების კომიტეტი და სხვა ორგანიზაციები. საბჭოთა ადამიანები მხარს უჭერენ ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მოახრობის თანმიმდევრულ ბრძოლას მსოფლიოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის. „მშვიდობის კვირეულსადმი“ მიძღვნილ ხალხმრავალ კრებებზე სიტყვებში გამოსული ორატორები მტკიცედ მოითხოვენ შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ატომბულის იარაღის გამოცდა.

თელ მსოფლიოში მშვიდობის მოწესრიგების საქმეს მხარს უჭერენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ისინი ხმას იმაღლებენ ახალი სოციალისტური, ომის გამაღებელთა წინააღმდეგ და მზად არიან მეგობრობის სპორტული კავშირის დამყარონ ყველასთან, სპორტის ენა — შიშობის, მეგობრობის ენა.

სტოკოლმის კონგრესისათვის მზადება სულ უფრო მეტ გაქნებასა და საყოველთაო-სახალხო ხასიათს იღებს. ეს იმიტომ, რომ მიიღო მსოფლიოში მშვიდობის მოწესრიგება, ხალხთა ბედნიერება ყველა პატიოსანი ადამიანის სასურველი იცნება.

ნირის მონაწილე, ცეცკოვი — ბულგარეთის ყოფილი ჩემპიონი და ჩიგორინის სსოვის მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე მილვე, ბოგეკოვი, გერენსკი და პანტელევი.

შეჯიბრება გაგრძელდება 1 ივლისამდე.




გ. გურგენიძე

სამუშაობა, ეს სურათები მხოლოდ-

სტალინი ქალაქის იპოვებდა

სურათზე: დიდი სამ კილომეტრზე. მხედრები უახლოვდებიან ფინიშს. თამაშობენ ცხაქაისა და ჩოხატაურის ცხენბურთელები. ფოტო რ. დვამიანიანი.



დამთავრდა პირველი ტური

დამთავრდა თბილისის კალათბურთელთა პირველობის პირველი ტურის მატჩები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა 10 და ქალთა 8 გუნდი.

ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო უძლიერესი გამოდგა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და პირველ ადგილზე გამოვიდა.

ვაჟთა შორის მესამე ადგილის ბედი წყდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში. ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებს თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ჰქონდათ უპირატესობა და შეხვედრაც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 65:60.

ინტერესს იწვევდა პირველი ადგილისათვის ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის ორ წამყვან გუნდს „დინამოს“ და „ბურვესტიკის“ შორის, მაგრამ უკანასკნელები არ გამოცხადდნენ შეხვედრაზეც, რის გამოც „დინამოს“ მოგება ჩაეთვალა. „ბურვესტიკის“ სპორტსმენთა კოლექტივი მეორე ადგილზე გამოვიდა.

საქალაქო ჩემპიონატის მეორე ტური გაიმართა ოქტომბერში.

მ. ქართველიშვილი.

ახლოდ უკეთესი შედეგები

როგორც უკვე ვიცით, ვიცოცხლებოდა ფრენბურთულ ვაჟთა ფინალურმა შეხვედრებმა ვერ გამოავლინეს „ბურვესტიკის“ სპორტსმენთა ჩემპიონი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა სტუდენტთა ზონალურ თამაშებში. ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის ჩაატარა დამატებითი ტური.

პირველ დღეს ფიზკულტურის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდების შეხვედრაში გამარჯვებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა. სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ფრენბურთელთა შეხვედრა დამთავრდა მომავალი ინტერესების გამარჯვებით, სამაგიეროდ მათ დამარცხება განიცადეს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან. გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ პარტიების უკეთესი შედეგებით. ზონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა.

ლ. ფალავანდიშვილი

ამ ბოლო ხანებში ფოთის აბორთომი თითქმის მივიწყებული იყო. ხუთიოდე წელია, რაც აქ არ გამოართულა დიდი მასშტაბის შეჯიბრება ცხენოსნობაში, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ ზღვისპირა ქალაქი კვლავ აახშიანა ცხენოსნობაში. მხედრულმა სიმღერამ ჩოხატაურის, ცხაქაის, აბაშის, ზობის, ჩხორიწყისა და ფოთის ცხენოსნებმა სიმღერით დაუარეს ქალაქის ქუჩებს და იპოდრომს მიაშურეს, სადაც აღმართულ იქნა საქართველოს 1958 წლის რესპუბლიკური პირველობის ალამი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

შეჯიბრება დაიწყო... სარბილზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ჩოხატაურისა და ცხაქაის გუნდები. ისინი აღმართული მხედრები მზად იყვნენ ასპარეზობისათვის...

ცხაქაელი ა. ლაშქარავი ჩორთით მიიჭრა ჩოხატაურელთა საზღვართან, ტყორცა ისინი და წამსვე უყან გამოტრიალდა. ჩოხატაურელი დიდივე გამოვლენა მოაპირდაპირეს, წამოვიდა და ზუსტად აძგერა ისინი. ამ შუავე

შეხვედრაში ცხაქაელებმა მხოლოდ დასასრულს შეძლეს საპასუხო ქულის აღება და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ასეთივე დამბული იყო ფოთისა და ჩოხატაურის გუნდების შეხვედრის დასაწყისი, მაგრამ შემდგომში ცხადი შეიქნა ფოთელთა უპირატესობა, რომელთაც შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 4:1. ასევე კარგად ჩაატარეს ფოთის ისინი შეხვედრები, ზობის, ცხაქაის, აბაშისა და ჩხორიწყის გუნდებთან და შეინარჩუნეს საქართველოს ჩემპიონის წოდება ისინი (გუნდის შემადგენლობა: ვ. მაქაძია, კ. შელია, დ. ხოფერია, ზ. ტრტიკოვი, ი. ბურჯაძე, ს. ბარბაქაძე და ო. წილიძე). აღსანიშნავია, ცხენოსნობის ვეტერანის დ. პაპასკირის კარგი თამაში. ამ 50 წლის მხედარს დღემდე შემორჩა ახალგაზრდული სიკბაუკე და მოქნილობა. პაპასკირი 1930 წლიდან მოყოლებული ჩხორიწყის ცხენოსნთა გუნდის წევრია.

ვიანიდან შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ ზოგიერთი რაიონის

ძლიერი გუნდები, ბევრი ფიქრობდა, რომ შეხვედრები ცხენბურთში უხალისო და უფერული იქნებოდა, მაგრამ ეს ეშვები სწრაფად გაიფანტა, როცა მინდორზე გამოვიდნენ ჩოხატაურისა და ცხაქაის ცხენბურთელები. მართალია, ცხაქაის გუნდში ვერ ნახავდით განთქმულ გვეჯე ივანიძესა და ზოგიერთ მის თანატოლს, მაგრამ ახალგაზრდებმა ღირსეულად შეცვალეს ვეტერანები და სერაოშული წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს. ჩოხატაურელმა შესანიშნავად ჩაატარეს მთელი ტურნირი, დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და კვლავ დამსახურებულად მოიპოვეს რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი. გუნდში მაღალი ოსტატობით გამოირჩევა მისი კაპიტანი ა. შვგერიშვილი.

სტარტი მიეცა 2-კილომეტრიან დილს. მხედრები კარგა ხნის მანძილზე ჯგუფად მიაგლეგებდნენ ცხენებს, მაგრამ დისტანციის დასასრულს ჯგუფს ისარივით მოწყდა ფოთელი კ. მელიას „გულიჯანი“ და პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი დ. ხოფერია (ცხენი „ვენეციალი“). მესამე ადგილი ერგო აბაშელ ა. ჩაჩავას.

მეორე კილომეტრიანი დილი ინტერესი, რა თქმა უნდა, მარულამ გამოიწვია. შეიდი წრის განმავლობაში რბოლას დიდი დაცილებით ლიდერობდა ჩხორიწყის გუნდის, მაგრამ შემდგომში დაწინაურდა ფოთელი ტრტიკოვი, რომელმაც მოიგო კიდეც მარულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ცხაქაელი კულუა, მესამე — გობეჩია.

საინფორმაციო ბრძოლაში. გალადი ოსტატობა

საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან, წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკაობებმა. ჯერ იყო და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდება დაწინით ფარიკაობაში წილად ხვდა სპორტის ოსტატ რ. ცირეკიძეს, მოზარდ მოფარიკაობელთა საჯავირო პირველობაზე გოგონათა შორის უძლიერესის სახელი დაიმსახურა განთიადელმა შ. კობრიძემ და სულ ახლახან დასავლეთ გერმანიაში სტუმრად მყოფმა ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონმა სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გ. კოსტავა, დაწინით მოფარიკაობელთა საერთაშორისო ტურნირში გარდამავალი ჯილოდ მოიპოვა.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს 1958 წლის პირველობამ ფარიკაობაში, რომელიც 4 ივნისს თბილისში დაიწყო, დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრების საზეიმო ცერემონიის შემდეგ დაიწყო გუნდური პირვე-

ლობა დაწინითა და რაპირით ბრძოლაში.

დაწინით ფარიკაობაში თბილისის გუნდმა, რომელიც მთლიანად სპორტის ოსტატებით იყო დაკომპლექტებული (რ. ცირეკიძე, კ. გოგელია, ა. ასათიანი), იღვლიად დაამარცხა ყველა მებრძოლი და მოაპოვა პირველი ადგილი. რაპირით ბრძოლაში თბილისის პირველი გუნდი (ო. კიკალიშვილი, თ. ცქიტიშვილი, გ. ჯაიანი) კვლავ უძლიერესი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეზე და მას მიეკუთვნა პირველი ადგილი.

შეჯიბრების მეორე დღეს დაიწყო ვაჟთა პირადი პირველობა დაწინით და რაპირით ფარიკაობაში, გუნდური პირველობა ესპარტონში და ქალთა გუნდური შეჯიბრება რაპირით ბრძოლაში.

რაპირაში ქალთა გუნდებს შორის

უძლიერესი იყო თბილისის პირველი გუნდი (კ. ზენაიშვილი-გეორგაძე, ი. ესაიაშვილი, ლ. შეყრილაძე). ესპარტონში პირველობის პრეტენდენტები იყვნენ თბილისის I და II გუნდები. მათ შორის გადაწყვეტილი ბრძოლა მოიგო თბილისის II გუნდმა (მ. სახაძე, ა. შვანგირაძე, ჯ. გოგაძე).

დამბული ბრძოლები გაიმართა პირად შეჯიბრებაზე დაწინით. აქ იბრძოდნენ მხოლოდ პირველთა რაიონის და ოსტატები, პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 18 სპორტსმენი. წინასწარი ბრძოლების შემდეგ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 9 მოფარიკაობელი. სასიხარულოა ის აზრები, რომ გამოცილილი ოსტატების სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ახალგაზრდებმა. მაგალითად, ი. მამინაძემ მაღალი ოსტატობით ჩაატარა საპასუხისმგებლო შეხვედრები რ. ცირეკიძესთან, შ. აღანიასთან, გ. ცაგარელთან და დამბულ ბრძოლებში სამეფო მოწინააღმდეგე დაამარცხა.

ფინალში სამ სპორტსმენს — რ. ცირეკიძეს, კ. გოგელიასა და ა. ასათიანს აღმოაჩნდათ მოგებათა თანაბარი რაოდენობა. წესის თანახმად მათ შორის დამატებით შეხვედრებში ნათლად გამოვლინდა საქართველოს დამბული მოფარიკაობელი მაღალი კლასის პირველი საფარიკაო ბილიკე გამოვიდნენ რ. ცირეკიძე და ა. ასათიანი. დასაწყისში უპირატესობას ინარჩუნებდა ა. ასათიანი და როცა ანგარიში იყო 4:4, მოწინააღმდეგეებმა ერთობლივად „დაჭრეს“ ერთმანეთი — 5:5. ბრძოლა გაგრძელდა... ა. ასათიანი სწრაფად გადავიდა იერიშზე,

დღის 3 კილომეტრზე თან პირველი იყო სამი მხედარი. მათ შორის ასე განაწილდა: 1. დ. მელია, 2. კ. მელია, 3. გ. მაქაძია.

გუნდების საბოლოო დადგენისას უპირატესი, რომლისა და უფროსი გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. მათგან პირველი ადგილი მათ შორის მიეკუთვნა ფოთის გუნდს, ვინაიდან მან შეჯიბრების ორ საბრძოლო (ისინი და მარულა) ჰქონდა დაკავებული პირველი ადგილი. ჩოხატაურელები იმდენივე იყვნენ დაკავებული ადგილებზე მეორე ადგილით, ხოლო ცხაქაელები — მესამით. მეორე ადგილებზე არიან აბაშის ხობისა და ჩხორიწყის ცხენბურთელები.

განვილო შეჯიბრების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში არ მონაწილეობდნენ რაიონების გუნდები, სადაც ცხენოსნობის დიდი გავრცელება არ არსებობს იყო, რომ მაყურებლებს სამართლიან გულსწყობას გამოეთქვამდნენ: — ზონალური შეჯიბრება ეს თუ რესპუბლიკის პირველობა. ქართული მაყურებელი დიდ პატივს სცემს ეროვნულ ცხენოსნობის სახელმძღვანელო ტურნირებს არბინას, ივანიძეს, გუმბას და სხვებს, მაგრამ ისინი მათ ვერ იხილეს ასპარეზზე.

ჩვენი აზრით, არ ეპატივებს ზუგდიდის, გუდაუთის, სოხუმის ქობულეთის, სიღნაღისა და სხვა რაიონების ცხენოსნებს ასეთი შეჯიბრებისათვის თავის არიდება.

ა. ლომაია,
ჩვენი საქ. კორესპონდენტი.

გადამწყვეტი ჩველდა მიიყვანა გომოდელ მებრძოლს და გაიპარა 6:5. ამის შემდეგ ერთმანეთს შეხვედნენ რ. ცირეკიძე და კ. გოგელია. პირველ შეხვედრაში დამარცხების მიუხედავად რ. ცირეკიძემ კ. გოგელიასთან ბრძოლა მაღალ დონეზე ჩაატარა და ადვილად მოიგო იგი — 5:1.

ახლა ა. ასათიანს რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, რომ იგი რესპუბლიკის ჩემპიონი გამხდარიყო, რადგანაც ფინალურ ჯგუფში მას კ. გოგელიასთან გამარჯვება ჰქონდა. მაგრამ ასე არ მოხდა. იგი ზედმეტ ნერვიულობდა. შეხვედრა კ. გოგელიას მიიგო — 5:2. ამრიგად, ასათიანს სპორტსმენს თითო მოგება და თითო წაგება აღმოაჩნდა.

მსაჯთა კოლეგიამ ნაკლები ჩველტების მიღების გამო რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება რ. ცირეკიძეს მიაკუთვნა.


ქალთა შორის რაპირაში დაწინაურდა ჯ. ზენაიშვილი-გეორგაძე, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და 8 მოგებით მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

ა. მეფარიანი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
ზ. ჯავარიძე

ტექნიკური შედეგები. გუნდური პირველობა. დაწინა 1. თბილისი II; 2. თბილისი II; 3. ქუთაისი; 4. ზესტაფონი; 5. კიბთურა; 6. რუსთავის რაპირა (ვაჟები). 1. თბილისი II; 2. თბილისი II; 3. ქუთაისი; 4. ზესტაფონი, რაპირა (ქალები) 1. თბილისი I; 2. თბილისი II; 3. ქუთაისი.

ესპარტონი. 1. თბილისი II; 2. თბილისი I; 3. ქუთაისი; 4. ზესტაფონი; პირადი პირველობა. დაწინა 1. რ. ცირეკიძე; 2. კ. გოგელია; 3. ა. ასათიანი; 4. გ. ცაგარელი; 5. შ. აღანიანი; 6. ა. ლარიბოვი. 7. ი. მამინაძე; 8. დ. უკუბაძე; 9. გ. კალმახელიძე (ყველა თბილისიდან), რაპირა. 1. ო. კიკალიშვილი; 2. თ. ცქიტიშვილი; 3. გ. ჯაიანი; 4. ი. დავილოვი (ყველა თბილისი); 5. ა. ზობოიძე (ქუთაისი); 6. ზ. ცქიტიშვილი; 7. ტ. ზაუტაშვილი (თბილისი); 8. შ. ფილიპოვი (ქუთაისი); 9. დ. ნიკორაძე (ქუთაისი). რაპირა. ქალები — 1. ჯ. ზენაიშვილი-გეორგაძე; 2. ლ. შეყრილაძე; 3. ი. ესაიაშვილი (თბილისი); 4. ნ. შეყრილაძე (ზესტაფონი); 5. ლ. ფანგიძე (თბილისი); 6. შ. კობრიძე (ქუთაისი); 7. ა. გორაძე; 8. ი. ბოლოთაძე; 9. შ. სულთანოვილი (ყველა თბილისი).

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.



სურათზე: რ. ცირეკიძისა და ქუთაისელი შ. სურამანიძის ბრძოლა. ფოტო მ. ბორაშვილისა.

სტუდენტული მსახიობები



4 ივნისს თბილისში, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, მოეწყო ამხანაგური საქადრაკო მატჩი 10 დაფაზე თეატრის ვაჟთა და დედაქალაქის მოქალაქე ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თეატრის სპორტულ ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კობახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. სიხარულიძე, გ. თოლორაძე, მ. ბახტაძე, კ. თოლორაძე, კ. მუჟევანიძე, ი. გრატიაშვილი, ბ. გოგინავა, გ. სარქიშვილი და ვ. უდუგოვი. მოქალაქე ქალებმა საქმოდ ძლიერი შემაღვენილობა გამოიყვანეს: საქართველოსა და თბილისის ჩემპიონი მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ნ. ვაფრინაშვილი, ქ. გოგინავა, ლ. ხაქაპურიძე, ლ. წერეთელი, გ. გლოვანი, თ. ურდულიძე და მ. ჩიშნაძე.

ბრძოლა მატჩში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. იგრძნობოდა ქალების უპირატესობა. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ტოგონიძემ, კაკაბაძემ და ვაფრინაშვილმა დაამარცხეს კობახიძე, თოლორაძე და სიხარულიძე. დანარჩენ დაფებზეც ქალები გობნიდნენ თავიანთ მეტოქეებს. მაგრამ ბახტაძე და გოგინავა, რომლებიც ეთამაშებოდნენ საქართველოს უფილი ჩემპიონებს გოგინავასა და გლოვანს შეუპოვრად იგერიებდნენ იერიშებს. საქმარისი იყო გამოცდილი პარტიზორების ორიოდ წინდაუხედავი სვლა, რომ ბახტაძემ და გოგინავამ გამარჯვება მოიპოვეს.

საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრდა მოქალაქე ქალების გამარჯვებით ანგარიშით 8:2

სურათებზე: — ზევით — შეჯიბრების ყველაზე უფროსი მონაწილე ა. სიხარულიძე (მარცხნივ) და შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე ნ. ვაფრინაშვილი თამაშის შემდეგ არჩევენ პარტიას. ტურნირის საერთო ხედი. რესპუბლიკის სახალხო არტისტი პ. კობახიძე ეთამაშება მ. ტოგონიძეს.

ფოტო მ. წარგარიანიანი.

მეხანძრეთა შორის

სამ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება სახანძრო გამოყენებით სპორტში თბილისის სახანძრო დაციის ნაწილების პირველობაზე. პირველ დღეს მეხანძრეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ასპეტრის დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, ხოლო მეორე დღეს — 4x100 მეტრზე.

ასპეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, გასულ წელთან შედარებით, დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები. რიგით შემაღვენილობას შორის უკეთესი დრო ჰქონდა მეხანძრე მებღოგს — 26,3 წუთში, რიგით — 26,8 წამი, გოგინავილს — 26,9 წამი, უფროსთა შემაღვენილობიდან მიკამ მანძილი გაიბრბა 25,2 წამში კავთიაშვილმა — 25,4 წამში, მ. დოლიძემ და კაკაბაძემ კი — 26,6 წამში. გასამწული კიბით მესამე სართულის ფანჯარაში ასვლას სილაგაძემ დ. ოლიშარიამ 19,9 წამი მოაწოდინეს. ხოლო ნოთფრინაშვილმა და ხუტაშვილმა — 21,5 წამი, მერივე სილაგაძემ საიერიშო კიბით მეოთხე სართულის ფანჯარაში 20,2 წამში ავიდა, ხუტაშვილი 20,8 წამში, ხოლო ნოვიკოვი — 21,4 წამში. უფროსთა შემაღვენილობიდან კარგინმა შეჯიბრების ამ სახეობაში 20 წამი უჩვენა, მ. დოლიძემ 21,2 წამი, ხოლო კაკაბაძემ — 22,5 წამი.

ამრიგად, პირველი სამი ადგილი გაინაწილეს მეოთხე, პირველი და მეორე სახანძრო ნაწილის გუნდებმა.

მიმდინარე წელს გარნიზონის გუნდები კვლავ შეეჯიბრებოდნენ სახანძრო გამოყენებით სპორტში. საჭიროა გავეთვალისწინოთ გამოყენებული ნაკლოვანებანი სისტე-

გულში თბილისის „მეხანძრეთა“ კის“ სტალინზე თბილისის არმიულ ფეხბურთელთა გუნდმა მიიღო კადევიკის „შახტიორი“.

თბილისელთა რამდენიმე მწვევე შეჯიბრების შემდეგ უკვე მე-6 წუთზე იქნა გახსნილი ანგარიში: მარჯვენა უმაღარბმა უორენეგმა კარიდან საკმოლოცობები მიიღო ბურთა და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მოულოდნელად დაარტყა კარში. მეორე სტრელკოვი უძლური აღმოჩნდა ასეთი დარტყმის წინაშე — 1:0.

არმიულებს ტიპის დამთავრებამდე მნიშვნელოვანი ტერიტორიულა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი არ იქნა გამოყენებული თავდასხმელთა მიერ.

შესვენების შემდეგ „შახტიორი“ კარგა ხანს ცდლობდა ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ თბილისელთა გამოცდილი დაცვა წარბეჭდის იბრძოდა საჯარბო მოედანზე და სწრაფად გადაწყვედა თამაში კარიდან შორს.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0.

შახტი. 4 ივნისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „შახტიორი“ (შახტი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

შედეგ ნაკრები

„მონაკვეთის“ პირველობა სასტენდო სროლაში

დამთავრდა საქართველოს „მონაკვეთის“ პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე მონაწილეებმა პირველ დღეს მიიღეს 50 სამიხნე. პირველი სერიის შემდეგ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ზ. მახანელი, რომელმაც ყველა სამიხნე გატეხა, მეორე სერიაში მხოლოდ ორს დააცილა. მეორე დღეს მახანელმა ორი სამიხნე უფრო ცუდი შედეგი აჩვენა ვიდრე წინა დღეს, მაგრამ მისი გასწრება მინც ვერაინ შეძლო. ჩემპიონობა მიეცუთვნა ზ. მახანელს, რომელმაც 100 შემაღვენილობიდან 94 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა პირველ ორთაბრძოლის სეგალევიჩი, მესამეზე — სპორტის ოსტატი ვ. ჯაბახიძე.

სკოლს ასე დავიწყით

მალაი კლასის კალათბურთელთა მონაწილეობა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებს შორის მუშაობის სწორი ორგანიზაციის, მის ხარისხობა და ეფექტურობას. მართალია, განათლების განყოფილების ცენტრალური ჯგუფები სისტემატურად და ნაყოფიერად მუშაობენ როგორც ქაბულებში, ისე გოგონებში, ამის მიუხედავად თბილისში ცუდად არის დაყენებული ბავშვთა შორის მუშაობა მთლიანად.

ასეთი მდგომარეობა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, არამედ სხვა ქალაქებშიც. ცენტრალური ჯგუფებთან თბილისის გარდა მუშაობა წარმოებს ბათუმში, ქუთაისში, მაგრამ იგი სრულებით არ პასუხობს თანამედროვე კალათბურთის გაზრდილ მოთხოვნილებებს. თუ ჩვენ არ გავფარდობებთ ბავშვებთან მუშაობის სფეროს, უფრო ნაყოფიერად და ეფექტურად არ გაგხდით ამ საქმეს, რესპუბლიკის წამყვანი გუნდები, დროულად ვერ მიიღებენ მიკად საჭირო რეზერვს. მისი აუცილებლობა კი ყველასათვის ნათელია, რადგან საქართველო პირველ ჯგუფში სამი (ორი ვაჟთა და ერთი ქალთა) და მეორე ჯგუფში ორ გუნდით (ვაჟთა და ქალთა) მონაწილეობს.

რა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა საჭირო? ჯერ ერთი, დროულად უნდა გამოიყუთ სკოლები, სადაც კალათბურთი სპეციალიზირებული იქნება. არჩევანი, რა თქმა უნდა, იმ სკოლებზე შეიჩრდება, რომლებსაც გააჩნიათ კალათბურთის მოედნები. სკოლები უნდა მოვამარაგოთ ინვენტარით და მწვრთნელთა კვალიფიკური კადრებით. ეს ნაბიჯი, უმცროსი ასაკის ბავშ-


ვებთან მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრს სკოლებზე გადაიტანს. რაიონებს შეიწინებებოდა რატონად რეზერვული შეჯიბრებები ცენტრალური სექციისათვის გამოავლენს ნიქიერ, მომავლის მქონე ახალგაზრდებს.

თვითუღმა რაიონმა უნდა მიიღოს იმას, რომ ჰყავდეს საშუალო და უფროსი ასაკის ჯგუფები. ამთგან დაკომპლექტებული გუნდები კი ვალდებული იქნებიან გამოვიდნენ ყველა საქალაქო ღონისძიებებში. იმისათვის, რომ დავანტერესოთ ამ სკოლების მასწავლებლები და მწვრთნელები ქალაქში გამარჯვებული კოლექტივის ხელმძღვანელს უნდა დავეთვლოთ ნაკრები გუნდის დაკომპლექტება რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. აქ გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს საშუალება მიეცეთ მოამზადოს კოლექტივი საკავშირო შეჯიბრებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელებს მთელი ძალით მუშაობის სტიმულს მისცემს. რადგან ყოველი მათგანი ეცდები უძლიერესი მისი გუნდი გახდეს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მველადერი. კალათბურთის მასობ-

რობისათვის მიზანშეწონილი იქნება სპორტული მოედნების რაოდენობის გაზრდა იმ სახლებში, რომლებსაც დიდი ეზოები აქვთ. იქ კი, სადაც ასეთი მოედნები უკვე არსებობს, პრესის და მიმდგრებული აქტივისტების საშუალებით პროპაგანდა უნდა გაიწიოს კალათბურთის სპორტულ მუშაობის გამოცოცხლების მიზნით. კარგი იქნება თუ ეზოებთან შექმნილ მოზებელთა და კომკავშირულ პიონერულ კომიტეტებს. მათ დავეალებათ სპორტული ცხოვრების ორგანიზაცია. მუშაობის ნორმალურად გაშლის შემთხვევაში პირველად უნდა შემოვიფარგლოთ ეზოებს შორის ამხანაგური შეხვედრებით. შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება საქალაქო პირველობის ჩატარება და ასე შემდეგ.

ამ გზით შევძლებთ ჩვენ, ახალგაზრდებს საყვარელი სპორტის სახეობის — კალათბურთის პროპაგანდას. მყარ ლიანდაგზე შეყენებას და ნიქიერ მომავლის მქონე სპორტსმენთა გამოვლენას.



ო. ქორქია, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ალმასრულებელ კომიტეტს შესაძლებლად მიანიჭა მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში ჩატარდეს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიურ თამაშებს შორის. პირველი ჩემპიონატის გამართვა განზრახულია 1962 წელს.

ალმასრულებელ კომიტეტმა დააღწია აგრეთვე ნიზნოსანთა ევროპის მორიგი პირველობის ჩატარების ადგილი და ვადები. შეჯიბრებები მოეწყობა ბონნაში ქალებისათვის — 22-24 აგვისტოს, ვაჟებისათვის — 29-31 აგვისტოს.

თავისუფალი ქიდაობა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალი სახეობაა საბჭოთა კავშირში. მხოლოდ 1945 წელს ჩატარდა პირველად ჩვენი ქვეყნის პირველობა ამ სახეობაში. მიუხედავად ამისა, უკვე 1952 წელს საბჭოთა კავშირის მოქიდავებები XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ.

1956 წელს გამოვიდა თავისუფალი ქიდაობის პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც განსოგადებული იქნა წამყვანი საბჭოთა მწვრთნელებისა და მოქიდავების მუშაობის მოწინავე გამოცდილებმა. ამ წიგნმა, რომლის ავტორიც არის საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალბონობის კათედრის გამგე ი. ალიბანოვი, სამართლიანი მოწონება დამსახურა.

ამას წინათ წიგნი ოთარგმნა რუსულ ენაზე და გამოცემულ იქნა დიდი ტირაჟით ზუქარესტში.

გაზეთის გამოცემის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 13. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პ.მ.გ. მიღებისა და განყოფილებების — 8-90-24, მორიგისა და გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კომუნისტური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტა“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უფ. 02483

ალმასრულებელ კომიტეტს შესაძლებლად მიანიჭა

ნიზნოსანთის საერთაშორისო ფედერაციის ალმასრულებელ კომიტეტმა გადაწყვიტა ფედერაციის კონგრესზე, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში ბონნაში გამართება, შეიტანოს წინადადება ნიზნოსანთში მსოფლიო პირველობის ჩატარების შესახებ.

ალმასრულებელ კომიტეტს შესაძლებლად მიანიჭა მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში ჩატარდეს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიურ თამაშებს შორის. პირველი ჩემპიონატის გამართვა განზრახულია 1962 წელს.

ალმასრულებელ კომიტეტმა დააღწია აგრეთვე ნიზნოსანთა ევროპის მორიგი პირველობის ჩატარების ადგილი და ვადები. შეჯიბრებები მოეწყობა ბონნაში ქალებისათვის — 22-24 აგვისტოს, ვაჟებისათვის — 29-31 აგვისტოს.



ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა „დინამო“ (ბერლინი, გ.დ.რ.) — „დინამო“ (თბილისი). დასაწყისი 6 ს. ფარეკაობა. საქართველოს პირველობა. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტბრძობა. დასაწყისი დღის 10 ს. ჩოგბურთი. თბილისის პირად პირველობა. ფიზკულტურის კომიტეტის კორტები. მარჯანიშვილის ქ. № 29. დასაწყისი 10 ს.

განსორება

ჩვენი გაზეთის 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „ბ. შარაბიძისა და რ. კაკაბაძის წარმატება“ — ბოლო აბზაც ასე უნდა იქონებოდეს: „ამას გარდა ტარდებოდა შეჯიბრება სპორტულ საზოგადოებებს შორის. სადაც ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“, „ბურჯესტნიკი“, „სპარტაკი“.

რედაქტორი ი. უზულაშვილი.